



არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
„ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლე “



ბრძანება:ბ72.01211131

თარიღი:23/04/2021

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის 2021 წლის 1 მარტის N ბ72.01210602 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 6 მაისის N18.37.533 განკარგულებით დაფუძნებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის - ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის წესდების (დებულება) მე-5 მუხლის 5.2. პუნქტის 5.2.10. ქვეპუნქტის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე

1. „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის 2021 წლის 1 მარტის N ბ72.01210602 ბრძანების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„განისაზღვროს ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის" „74-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის“ თარიღები შემდეგი სახით:

ა) კონფერენციის I ეტაპი ჩატარდება 10 მარტიდან 18 მაისის ჩათვლით

- ნაშრომები მიიღება 10 მარტიდან 10 აპრილის ჩათვლით;
- ნაშრომები შეფასდება 11 აპრილიდან 20 აპრილის ჩათვლით;
- ნაშრომების შედეგები გამოქვეყნდება 22 აპრილს;
- აპელაცია მიიღება 22 აპრილიდან 28 აპრილის ჩათვლით;
- აპელაციის განხილვა და შედეგების გამოცხადება მოხდება 18 მაისის ჩათვლით;

ბ) კონფერენციის II ეტაპზე გადასული მონაწილეები თემებს დაიცავენ და დაჯილდოვდებიან დისტანციურად/ადგილზე 24 მაისიდან 5 ივნისის ჩათვლით;

2. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების გაცნობა შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისათვის;

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან;
4. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სასახლის დირექტორის მოადგილეს ე.ჭაჭიაშვილს;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, N6)

თინათინ რუხაძე

ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული
სასახლე“-დირექტორი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

